საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 463 2019 წლის 11 მარტი ქ. თბილისი

პროექტთან – „საქართველო – ღვინის სამშობლო“ დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების თაობაზე

საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაციის, საქართველოს, როგორც ქვეყნის წარმოჩენისა და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ღვინის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, 2019 წელს ქ. ტოკიოში გასამართი ქართული ღვინის ისტორიისადმი მიძღვნილი „საქართველო – ღვინის სამშობლო“ – პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოსათვის – 3 250 000 (სამი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის – 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**